

ენათმეცნიერება Linguistic

კილოს, დროისა და მოდალობის მიმართებისთვის იტალიურ ენაში

მაია ჯავახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველოe-mail: maia.java@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.10>

SJIF 2025: 8.584

კილო მორფოლოგიური კატეგორიაა, იტალიურ ენაში ტრადიციულად გამოიყოფა თხრობითი, კავშირებითი, პირობითი და ბრძანებითი კილო. სწორედ კავშირებითი კილოა მოდალობის ერთ-ერთი ძირითადი, მორფოლოგიური, გამომხატველი, მაგრამ მოდალობა, როგორც სემანტიკური კატეგორია, ბევრად უფრო ფართოა და გულისხმობს „პროპოზიციის სტატუსს“, მოლაპარაკის დამოკიდებულებას თავისი ნათქვამისა და თავად წარმოთქმის აქტის მიმართ. ვინაიდან კავშირებითი კილოა ის კილოური ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად უკავშირდება მოდალობას, დეტალურად განვიხილეთ კავშირებითი კილოს რაობა, მისი მახასიათებლები და ის პირობები, როდესაც კონსტრუქციაში, ძირითადად დამოკიდებულ წინადადებაში, ხდება მისი გამოყენება.

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევის შემთხვევები იტალიურ ენაში დასტურდება როგორც წარსულში, ისე მომავალში; მომავალი არ არის სრულად ცნობილი, ის აუცილებლად მოიცავს წინასწარი პროგნოზის, ვარაუდის ან რაიმე მსგავს ელემენტს, შესაბამისად, ხშირია მომავლის გამოყენება რაიმე ტემპორალური მნიშვნელობის გარეშე, ე.წ. ვარაუდის, შესაძლებლობის – ეპისტემური მნიშვნელობით. მაგალითად, მომავალ დროში მდგარი ზმნა, ამ წინადადებაში იღებს ვარაუდის მნიშვნელობას:

Hanno bussato alla porta, sarà Marco – კარზე დააკაკუნეს, მარკო იქნება.

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევა დასტურდება ასევე წარსულის იმპერფექტულ დროში და, შესაბამისად, გამოიყოფა:

კონატიური იმპერფექტი (imperfetto conativo)

ზმნის ეს დრო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დარჩა ჩანაფიქრის, სურვილის, განხორციელების რისკის დონეზე:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

მათთან, მესამედან, შაბათს საქმე თითქმის კონფლიქტამდე მივიდა.

თავაზიანობის იმპერფექტი (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava?

რას ინებებთ?

ირეალური იმპერფექტული დრო (irreale)

იმპერფექტული დროის საშუალებით ამგვარ წინადადებებში თითქმის ყოველთვის გადმოცემულია არარეალიზებული ვარაუდი (irrealità del passato):

Se lo sapevo, non venivo. ეს რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი.

პერსპექტივის იმპერფექტული დრო (imperfetto prospettivo)

გამოიყენება წარსულისთვის მომავლის მნიშვნელობით

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

სტუმარი 15 ივნისს, დღისით მოვიდა. ორი დღის შემდეგ მიდიოდა.

იგივე შეიძლება ითქვას პლუსკვამპერფექტსაც (trapassato prossimo), რომელიც მოდალურ მნიშვნელობას იძენს, როდესაც სასაუბრო მეტყველებაში წარმოდგენილია ჰიპოთეზური კონსტრუქციის - პირობითი წინადადების შედეგობით ნაწილში შედგენილი პირობითის ფორმის ნაცვლად:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami – ავად რომ არ გავმხდარიყავი, გამოცდებს დავამთავრებდი.

სხვა შემთხვევაში კი აქვს „შემარბილებელი“ მნიშვნელობა:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia – გამარჯობა, მოვედი, რომ რაღაც გთხოვოთ.

საკვანძო სიტყვები: მოდალობა, კილო, დრო, იტალიური ენა, სასაუბრო მეტყველება

იტალიური ენა რომანული ენაა. ზმნა იტალიურში წარმოდგენილია სინთეზური და ანალიზური ფორმებით. დრო, ასპექტი და კილო გამოხატულია ორივე აღნიშნული ფორმით. არსებობს ორი ძირითადი ანალიზური ფორმა: შედგენილი პერფექტული (avere – „ქონა“/ „ყოლა“ და essere „ყოფნა“ + ზმნის ნამყო დროის მიმღეობა) და გრძლივი (stare „ყოფნა“ + ზმნის გერუნდივი), ორივეს სპეციფიკური ასპექტუალური მნიშვნელობა აქვს; შედგენილი პერფექტი გამოხატავს პერფექტულ მნიშვნელობას ათვლის დროსთან მიმართებაში (reference time); თუ ათვლის დრო დაემთხვევა საუბრის დროს, მაშინ გვაქვს პერფექტული აწმყო (present perfect: ha lavorato), თუ ათვლის დრო განლაგებული წარსულში, გვაქვს პლუსკვამპერფექტი (pluperfect: aveva cantato, ebbe cantato) და თუ განლაგებული მომავალში, მაშინ გვაქვს პერფექტული მომავალი (future perfect: avrà cantato). გრძლივი ფორმები გამოხატავენ გრძლიობით მნიშვნელობას და არ არიან შეზღუდულნი ტემპორალური თვალსაზრისით, ისინი წარმოდგენილნი არიან წარსულში, ახლანდელში და მომავალში. (6; 238) მარტივ წარსულს (cantò) აქვს ასპექტუალური და ტემპორალური ფუნქცია, ასპექტუალურად ის პერფექტულია და ასევე თავისი არსით – წარსული; იმპერფექტს (cantava), პირობითსა (canterebbe) და მომავალს (canterà) აქვთ არა მხოლოდ ასპექტუალური და ტემპორალური ფუნქცია, არამედ მოდალური.

ზოგადად კილო ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა ისევე, როგორც პირის, რიცხვის, ასპექტის, დროისა და გვარის კატეგორიები. რაც შეეხება მოდალობას, ის სემანტიკური კატეგორიაა. კილოს კატეგორია გამოხატავს ისეთ მოდალობას, როგორიცაა ბრძანება (orders), სურვილი (wishes), (არა-)სინამდვილე ((non-)factivity), (არა-)რეალობა ((non-)reality) და მოწონება (like) (Thieroff R., 2010;3).

თუ დრო გამოხატავს მოვლენის (ზმნით გამოხატული ნებისმიერი მოქმედებისა თუ მდგონარობის) დროს, ასპექტი უკავშირდება მოვლენის ბუნებას, კილო გამოხატავს მოვლენის აღმწერი მსჯელობის სტატუსს (Palmer F.R., 2001;1)

როგორც პალმერი აღნიშნავს, შედარებით ადვილია ზმნის ისეთი კატეგორიების კვლევა, როგორიცაა დრო და რიცხვი, ვინაიდან ისინი ნათლად არიან წარმოდგენილნი განსხვავებული ფორმებით (like/liked; cat/cats). მოდალობა კი სემანტიკური კატეგორიაა, რომლის განმარტებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ის გამოხატულია სხვადასხვა ფორმალური საშუალებებით, როგორიცაა მოდალური ზმნები, კავშირებითი კილო, ნაწილაკები (Palmer F.R., 2013:2). დროისა და ასპექტისაგან განსხვავებით, მოდალობა პირდაპირ არ ეხება მოქმედების რაიმე მახასიათებელს; ის არის პროპოზიციის სტატუსი. გამოიყოფა მოდალობის ორი ძირითადი ტიპი – ეპისტემური და დეონტური მოდალობა. ეპისტემური მოდალობა გამოხატავს ვარაუდს, რომლის პერიფრაზი ასეთი იქნება: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია“, „შესაძლებელია რომ...“ „შესაძლებელია, რომ მოცემული ინფორმაცია სიმართლე იყოს“. დეონტური მოდალობა კი გამოხატავს ნებართვასა და ვალდებულებას.

ეპისტემური მოდალობის საილუსტრაციოდ იტალიური ენიდან მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

Forse sarà stato anche complicato per loro avvicinarsi a me, chissà.

ვინ იცის, იქნებ მათთვის ძალიან ძნელი იყო ჩემთან მოახლოება!

Questa cosa deve essergli costata molto stress.

ეს ამბავი მას დიდ ნერვიულობად უნდა დაჯდომოდა!

(ვინ იცის, იქნებ დიდ ნერვიულობად დაუჯდა!)

Scusi, un oggetto luminoso nel cielo, lo dovrebbe vedere un' intera città.

უკაცრავად, მანათობელი საგანი ცაში მთელ ქალაქს უნდა დაენახა!

L' ipotesi può sembrare paradossale perché proprio D'Alema è considerato un avversario del prodismo.

ეს ჰიპოთეზა პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, სწორედ დაღემა იყო მიჩნეული პროდის პოზიციის მოწინააღმდეგედ.

დეონტური მოდალობის მაგალითებია:

Bisogna fermarli prima che diventino assassini.

მათი შეჩერება მანამდეა საჭირო, სანამ მკვლელებად ქცეულან.

Anche loro hanno il dovere di mettere fine a questo silenzio.

ეს სიჩუმე მათაც უნდა დასრულონ.

Gli studenti possono sostenere gli esami negli appelli straordinari di novembre e marzo.

სტუდენტებს შეუძლიათ გამოცდის ჩაბარება ნოემბრისა და მარტის სპეციალურ სესიაზე.

Fabio, tu devi stare zitto!

ფაბიო, შენ ჩუმად უნდა იყო!

Da questo momento in poi, puoi parlare quando vuoi!

ამ წუთიდან უკვე შეგიძლია, როდესაც გინდა მაშინ ილაპარაკო! (Pietrandrea P., 2005: 7–

10)

იტალიურში მოდალური ზმნების ჯგუფი, რომელიც გავრცელებული შეხედულების მიხედვით მოიცავს *dovere* (ვალდებულება), *potere* (შესაძლებლობა) *volere*-ს (სურვილი), არ ხასიათდება მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით. მათ არ გააჩნიათ სხვა

ზმნებისაგან (არამოდალური) განმასხვავებელი რაიმე მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშნები.

დროის კატეგორიის მსგავსად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ბევრი სხვადასხვა ლექსიკური ელემენტით (ზმნიზედით, წინდებულიანი ფრაზებით, ზმნებით, წინადადებებით), კილოც შეიძლება გამოიხატოს სხვა ენობრივი საშუალებებით, მაგალითად, მოდალური სიტყვებით ან სხვა ლექსიკური ელემენტებით; კილოს შემთხვევაში წინადადების დონეზე გვაქვს დაპირისპირება არა-მოდალური – მოდალური ან თხრობითი (declarative) – არა-თხრობითი (non-declarative), ცნების დონეზე კი ფაქტუალური (factual) არა-ფაქტუალური (non-factual), რეალური (real) – არარეალური (unreal). ყველაზე შესაფერის ტერმინებად კილოს ტიპოლოგიურ კვლევებში მიიჩნევა (realis) რეალური (irrealis) ირეალური; „რეალური წარმოდგენს სიტუაციას როგორც განხორციელებულს, მომხდარს ან ისეთს, რომელიც ხდება და რომელიც ცნობილია პირდაპირი პერცეფციის გზით. ირეალური წარმოდგენს სიტუაციას როგორც აზროვნების სფეროს ნაწილს, რომელიც წარმოსახვის საშუალებით გვეძლევა“ (Mithun M., 1999:173, პალმერის მიხედვით, Palmer F.R., 2001:6).

რეალური/ირეალურის განსხვავების მიზნით ბევრ ევროპულ ენაში გამოიყენება ტრადიციული ტერმინი „თხრობითი“ და „კავშირებითი“.

მორეტი-ორვიეტოს განმარტებით, კილო გამოხატავს „კომუნიკაციის ტიპს, რომელსაც მოსაუბრე ამყარებს თავის მსმენელთან“ ან „დამოკიდებულებას, რომელსაც მოსაუბრე იღებს თავისი ნათქვამის მიმართ“ (Moretti G.B., Orvieto G.R., 1983:8). იტალიურ ენაში კილო წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) თხრობითი კილო, რომელიც წარმოგვიდგენს რეალურ ფაქტს: *I ragazzi studiano – ახალგაზრდები სწავლობენ*.

ბ) კავშირებითი კილო – რომელიც გამოხატავს რეალობიდან ან რაიმე ფაქტის ობიექტურად წარმოდგენისაგან გარკვეულად დაშორებას; აღნიშნული კილო წარმოადგენს მოქმედებასა თუ პროცესს როგორც სასურველს (desiderato), შიშის გამომწვევს (temuto), ნების (voluto), სავარაუდოს (supposto), მაგალითად, *se mi desi retta! – ჩემთვის რომ მოგესმინა!*

ც) პირობითი კილო გულისხმობს რაიმე პირობის არსებობას, რომელიც, ძირითადად, დამოკიდებულია სუბიექტის სურვილზე და რომელიც შეიძლება იყოს რეალური ან ვირტუალური: *mi piacerebbe fermarmi qui – მომეწონებოდა აქ დარჩენა*.

დ) ბრძანებითი კილო – გამოხატავს ზემოქმედებას მოსაუბრეზე ბრძანებით, მოწოდებით, თხოვნით (*Fermati! – შეჩერდი! Ascoltatemi – მისმინე!*).

ტერმინი „ზმნის კილო“ იტალიურ გრამატიკაში ტრადიციულად ვრცელდება ზმნის სამ სახელად ნაწილზე, ესენია: ინფინიტივი, მიმდევობა და გერუნდივი. რეალურად ისინი არ გამოხატავენ მოქმედების მოდალობას, მაგრამ კილოურ ღირებულებას იღებენ, როდესაც წარმოდგებიან ზმნური ფორმით (Grevisse M. G., 1980:424), მაგალითად, ერთსა და იმავე კონსტრუქციას შეიძლება სხვადასხვა კილოური მნიშვნელობა ჰქონდეს:

restaurata (se fosse restaurata), la casa potrebbe vendersi bene – იმ შემთხვევაში, თუ სახლი გარემონტდება – კარგად გაიყიდება. ამ შემთხვევაში კავშირებითი კილოს ხმარება განპირობებულია კონსტრუქციით;

restaurata la casa fu venduta per cento milioni – მას შემდეგ, რაც გარემონტდა, სახლი ას მილიონად გაიყიდა. ამ შემთხვევაში კი თხრობითი კილოა გამოყენებული, ვინაიდან ფაქტი წარმოდგენილია როგორც რეალური.

კავშირებით კილოს იტალიურ ენაში გააჩნია ოთხი დრო: აწმყო, წარსული, წარსული განგრძობითი (imperfetto) და პლუსკვამპერფექტი (trapassato). ის ძირითადად წარმოდგენილია დამოკიდებულ წინადადებებში და მისი დრო (ძირითად შემთხვევებში) განპირობებულია მთავარი წინადადების ზმნის მიერ გამოხატული დროით. კავშირებითი კილოს გამოყენება იტალიურ ენაში განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

1. მთავარი წინადადების პრედიკატის სემანტიკით; კავშირებითი ჩნდება დამოკიდებულ წინადადებაში, როდესაც მთავარი წინადადების პრედიკატი გამოხატავს

a. ნებას: *Voglio che lui venga stasera – მინდა, რომ დღეს მოვიდეს.*

b. დეონტურ აუცილებლობას *È necessario che lui venga – აუცილებელია, რომ დღეს მოვიდეს.*

c. შეაქვს რაიმე ეპისტემური ელფერი: *Credo che lui venga stasera. ვფიქრობ (მგონია), რომ ის მოვა ამ საღამოს.*

d. გადააფასებს პროპოზიციის შინაარსს, წარმოადგენს რა მას როგორც თემას: *Mi dispiace che lui venga stasera. ვწუხვარ, რომ ის ამ საღამოს მოვა.*

კავშირებითი კილო არ არის წარმოდგენილი ძლიერ მტკიცებით პრედიკატთან, როგორცაა sapere – ცოდნა: **So che sia venuto. – ვიცი, რომ მოვიდა.*

თუმცა ის წარმოდგენილია იგივე პრედიკატთან, როდესაც დამოკიდებული წინადადება იცვლის განლაგებას და ის წარმოდგება როგორც თემა:

Che sia venuto lo so. რომ მოვიდა, ვიცი.

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, კავშირებითი კილო იხმარება უარყოფით და კითხვით კონსტრუქციებში. უარყოფით კონსტრუქციაში მისი გამოყენების მაგალითია:

Non dico che sia partito. არ ვამბობ, რომ მოვიდა.

უარყოფის როლი განმსაზღვრელია, თუ აღნიშნული ზმნა მტკიცებითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაშინ კავშირებითი კილოს გამოყენება შეცდომაა **Dico che sia partito.*

რაც შეეხება კითხვით წინადადებებს, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიურ ენაში კავშირებითი კილო ძირითადად წარმოდგენილია ირიბი თქმაში გადმოცემულ კითხვაში: *Chiedono se sia partito. კითხულობენ, წავიდა თუ არა.*

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კავშირებითის ფორმა გვხვდება პირდაპირი თქმით გადმოცემულ კითხვით წინადადებაში: *Sai se sia partito? – იცი, წავიდა თუ არა?*

ზოგიერთ დამოკიდებულ წინადადებაში კავშირებითი კილო ძალიან კარგად გამოხატავს სურვილის (volativo), შესაძლებლობისა (potenziale) და ეჭვის (dubitativo) კომპონენტს, რომელიც ითვლება ზმნის ამ კილოს ძირითად მახასიათებლად.

იტალიურ ენაში ზმნის კონკრეტული მორფოლოგიური ფორმით გამოხატული დროები გარკვეულ კონტექსტში მოდალურ დატვირთვას წამოწევენ წინ, პირველ რიგში განვიხილოთ ნამყო უსრულის (imperfetto)-ს მნიშვნელობები:

აღწერის უსრული დრო (imperfetto descrittivo),

E tuttavia fuggivano i giorni. Ma il loro fuggire, seppure sembrava avesse smesso di trascinarli verso il traguardo peggiore, non cessava di spaventarmi.

დღეები მაინც გარბოდნენ. მათი ასეთი რბოლა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაზე ცუდი ბოლოსკენ აღარ მიმაჯანებდა, მაინც მაშინებდა.

განმეორებადი უსრული დრო (imperfetto iterativo):

In quel periodo Pier Marco si alzava alle cinque.

იმ დროს პიერ მარკო 5 საათზე დგებოდა ხოლმე.

ნარატიული ან ისტორიული უსრული დრო (imperfetto narrativo)

Nel 1887 nasceva a Rio de Janeiro Heitor Villa Lobos.

1887 წელს რიო დე ჟანეიროში დაიბადა ჰეიტორ ვილა ლობოსი.

კონატიური იმპერფექტი (imperfetto conativo)

ზმნის ეს დროს გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დარჩა ჩანაფიქრის, სურვილის, განხორციელების რისკის დონეზე:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

მათთან, მესამედან, შაბათს საქმე თითქმის კონფლიქტამდე მივიდა.

თავაზიანობის იმპერფექტი (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava?

რას ინებებდით?

ირეალური იმპერფექტული დრო (irreale)

იმპერფექტული დროის საშუალებით ამგვარ წინადადებებში თითქმის ყოველთვის გადმოცემულია არარეალიზებული ვარაუდი (irrealità del passato):

Se lo sapevo, non venivo. ეს რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი.

პერსპექტივის იმპერფექტული დრო (imperfetto prospettivo), გამოიყენება წარსულისთვის მომავლის მნიშვნელობით:

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

სტუმარი 15 ივნისს, დღისით მოვიდა. ორი დღის შემდეგ მიდიოდა.

პირველი ორი დრო წარმოადგენს „რეალურ დროს“ და ქართულში გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივით. რაც შეეხება ნარატიული უსრულს, ის „იტალიური“ მოვლენაა და ქართულში ყოველთვის წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა. დანარჩენი ხუთი მნიშვნელობიდან – კონატიური, თავაზიანობისა და ირეალური – მოდალურ მნიშვნელობას იძენენ (Serianni L., (2000); 326)..

მოდალური მნიშვნელობის წინ წამოწევა შეინიშნება ასევე მომავალშიც, როგორც პალმერი აღნიშნავს, მომავალი არ არის სრულად ცნობილი და ის ყოველთვის რაციონალური ვარაუდია (reasonable assumption) იმის შესახებ, რომ მომავალი მოვლენა მოხდება (Palmer F. R 2013;104). შესაბამისად, მომავალი არასოდესაა სუფთად ტემპორალური კონცეპტი, ის აუცილებლად მოიცავს წინასწარი პროგნოზის, ვარაუდის ან რაიმე მსგავს ელემენტს, ამიტომ ხშირია მომავლის გამოყენება რაიმე ტემპორალური მნიშვნელობის გარეშე, ე.წ. ვარაუდის (ეპისტემური) მნიშვნელობით, როდესაც მოქმედება გამოხატულია როგორც ვარაუდი, შესაძებლობა, ჰიპოთეზა, მაგ:

Hanno bussato alla porta, sarà Marco – კარზე დააკაკუნეს, მარკო იქნება.

იტალიურ ენაში მომავლის მნიშვნელობებში დასტურდება:

ბრძანების მომავალი (Futuro iussivo) – როდესაც თხრობითი კილოს მომავალი დრო გამოიყენება, როგორც შერბილებული ფორმა ბრძანებითი კილოს ნაცვლად:

Imparerai questa poesia – ამ ლექსს ზეპირად ისწავლი.

მომავალმა შეიძლება მიიღოს ძალიან კატეგორიული ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა: *Onorerai il padre e la madre – პატივს სცემ მამასა და დედასა შენსა.*

შემარბილებელი მომავალი (Futuro attenuativo) – როდესაც მოსაუბრე განალაგებს მოქმედებას მომავალში, თითქოს ფსიქოლოგიურ დისტანციას ამყარებს საუბრის მომენტსა და მოქმედების რეალიზაციის მომენტს შორის (Bertinetto P.M., 1986:487). ამ ფორმით მოსაუბრე თავის კატეგორიულ ტონს თითქოს არბილებს:

Ma ammetterà ch'io non potevo sapere – მაგრამ აღიარეთ (აღიარებთ) რომ მე ეს არ შეიძლებოდა მცოდნოდა.

Dovrò poi ringraziare anche voi. მერე თქვენც მადლობა უნდა გადაგიხადოთ!

იგივე ეხება პლუსკვამპერფექტსაც (trapassato prossimo), რომელიც გარკვეულ კონტექსტში მოდალურ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ის სასაუბრო მეტყველებაში წარმოდგენილია ჰიპოთეზური კონსტრუქციის – პირობითი წინადადების შედეგობით ნაწილში შედგენილი პირობითის ფორმის ნაცვლად:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami – ავად რომ არ გავმხდარიყავი, გამოცდებს დავამთავრებდი.

სხვა შემთხვევაში კი აქვს „შემარბილებელი“ მნიშვნელობა:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia – გამარჯობა, მოვედი, რომ რაღაც გთხოვოთ.

ზმნის წარსულსა და მომავლის ფორმებში მოდალური სემანტიკის გააქტიურებას ფლეიშმანი ე.წ. „ტემპორალური დისტანციით“ ხსნის (Fleischman S. 1989:13); დროის ძირითადი ბაზისური ფუნქციაა ქრონოლოგიურად განალაგოს სიტუაცია რეფერენციის წერტილთან მიმართებაში, ანუ დეიქტურ ცენტრთან ახლოს ან მისგან შორს. დროთა ბევრ სისტემაში ის მსჯელობის „ახლას“ შეესაბამება. უზნობის დროისა და ადგილის უშუალო სიახლოვეში (proximate) მომხდარ სიტუაციაზე მთქმელს, ჩვეულებრივ, შეუძლია „თავი დადოს“, ის მას განიცდის როგორც რეალურსა და ნამდვილს. ისეთ სიტუაციაზე კი, რომელიც ხდება „არა-ახლა“ და „არა-აქ“, ანუ რომელიც დაშორებულია გამოთქმის ადგილისა და დროისაგან, მოლაპარაკე „ვერ დადებს თავს“ იგივენაირად, ის მას არ განუცდია როგორც „ახლა“, ამიტომ თავის ნათქვამშიც მას განსხვავებულად წარმოადგენს. შესაბამისად, სრულიად გასაგებია სივრცითი და ტემპორალური სიახლოვიდან უფრო ფართო და აბსტრაქტულ – კონცეპტუალურ და კოგნიტურ სიახლოვეზე – ნამდვილი/რეალური (actuality/reality) გადასვლა და ამის მსგავსად სივრცითი და ტემპორალური დისტანციიდან უფრო აბსტრაქტულ – კონცეპტუალურ და კოგნიტურ დისტანცაზე – არა-ნამდვილი/არა-რეალური (non-actuality/non-reality).

ლიტერატურა

1. Baranzini L. Ricci C. (2015): Semantic and pragmatic values of the Italian imperfetto: Towards a common interpretive procedure, Catalan Journal of Linguistics 14.
2. Bertinetto P.M. (1986): Tempo, aspetto, e azione nel verbo italiano. Il sistema dell' indicativo, Firenze, Accademia della Crusca
3. Comri B. (2000): Tense. Cambridge University Press. United Kingdom
4. Comri B. (2001): Aspect. Cambridge University Press. United Kingdom
5. Fleischman S. (1989): Temporal distance: A basic linguistic metaphor, Studies in Language, 13:1
6. Fleischman S. (2005): Tense and Narrativity From Medieval Performance to Modern Fiction. Taylor & Francis e-Library
7. Grevisse M. G., (1980): Le bon usage, Parigi, Duculot
8. Moretti G.B., Orvieto G.R., (1983): Grammatica italiana, vol. III, Perugia, Benucci

9. Palmer F. R. (2013): *Modality and the English Modals*
10. Palmer F. R. (2001): *Mood and Modality*. Cambridge University Press
11. Pietrandrea P. (2005): *Epistemic Modality. Functional Properties and the Italian System*, Studies in Language Companion Series. John Benjamins Publishing Company
12. Reichenbach H. (1947): *The Tenses of Verbs. Elements of symbolic logic*. New York
13. Serianni L. (2000): *Grammatica, Sintassi, Dubbi*. Garzanti.
14. Squartini M. (2010): *Mood in Italian*, in Thieroff R., Rothstein B., (2010) *Mood in the languages of Europe*.
15. Thieroff R. (2010) *Moods, Moods, Moods*. In Thieroff R., Rothstein B. (2010): *Mood in the languages of Europe*.

Maia Javakhidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

e-mail: maia.java@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.10>

SJIF 2025: 8.584

The Interrelation of Mood, Tense, and Modality in the Italian Language

Abstract

Mood is a morphological category. In the Italian language, traditionally, the indicative, subjunctive, conditional, and imperative moods are distinguished. It is precisely the subjunctive mood that is one of the main morphological expressions of modality. However, modality, as a semantic category, is much broader and implies the "status of the proposition," the speaker's attitude toward what is said and toward the act of utterance itself. Since the subjunctive is the mood form most closely related to modality, we have examined in detail the nature of the subjunctive mood, its characteristics, and the conditions under which it is used in a construction, primarily in a subordinate clause.

Instances of emphasizing modal meaning in the Italian language are evident both in the past and the future; as the future is not fully known it necessarily includes elements of prediction, assumption, or something similar. Accordingly, the future tense is frequently used without any temporal meaning, in the so-called epistemic sense of assumption or possibility. For example, the verb in the future tense in this sentence acquires a meaning of assumption:

Hanno bussato alla porta, sarà Marco.

Modal meaning is also emphasized in the past imperfect tense, and accordingly, the following types are distinguished:

Conative imperfect (imperfetto conativo)

This verb tense expresses actions that remained at the level of intent, desire, or risk of execution:

Per poco, sabato, non avevo un conflitto con quelli del terzo.

The situation with them from the third group almost turned into a conflict on Saturday.

Polite imperfect (imperfetto di modestia, attenuativo)

Desiderava? What would you like?

Irreal imperfect tense (irreale)

Through the imperfect tense in such sentences, an unrealized assumption (irrealità del passato) is almost always conveyed:

Se lo sapevo, non venivo. If I had known that, I wouldn't have come.

Prospective imperfect tense (imperfetto prospettivo)

Used with a future meaning in the context of the past:

L'ospite giunse nel pomeriggio del 15 giugno. Ripartiva due giorni dopo.

The guest arrived on June 15 in the afternoon. He was leaving two days later.

The same can be said about the pluperfect tense (trapassato prossimo), which acquires modal meaning when, in spoken language, it is used instead of a conditional form in the result clause of a hypothetical construction:

Se non mi fossi ammalato a quest'ora avevo già terminato gli esami.

If I hadn't gotten sick, I would have already finished the exams by now.

In other cases, it carries a "softening" meaning:

Buongiorno, ero venuto per chiederle una cortesia.

Good morning, I came to ask you for a favor.

Key words: Tense, mood, modality, Italian Language, spoken language

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა დაცევიჩი